ხაშურის მოამბე

№1 2 ივნისი, სამშაბათი, 2015 წელი

მაშ, ასე, ჩვენ ვიწყებთ!

ძვირფასო მკითხველო! თქვენ ახლა განახლებული გაზეთის „ხაშურის მოამბე“ პირველი ნომერი გიპყრიათ ხელთ. დიახ, ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთგვარ მემატიანეს სიცოცხლე არ შეუწყვეტია და ახალი სახით იწყებს იმ გზაზე მსვლელობას, რომლის პირველ ქვაფენილს ჯერ კიდევ ოთხმოცი წლის წინ – გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩაეყარა საფუძველი. მრვალი ურთულესი პერიოდი გამოიარა ამ ხნის მანძილზე ამ გაზეთმა, რამდენჯერმე შეიცვალა სახელი, ფორმატი, მაგრამ არასოდეს შეცვლილა მისი უმთავრესი ფუნქცია – იგო ყოველთვის იყო რაიონის მეისტორიე თუ ერთგვარი ჟამთააღმწერი. დღესაც, როდესაც ვათვალიერებთ 30-50-70 წლის წინანდელ ნომრებს, თითოეულში მძლავრად იგრძნობა იმ ეპოქებისათვის დამახასიათებელი მაჯისცემა, პოლიტიკური სიტუაცია თუ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. ინფორმაციის გამოცემის სტილიც შესაბამისად იცვლებოდა და დღეს ღიმილსაც კი იწვევს, მაგრამ ის ჩვენი ისტორიაა, ჩვენი განვლილი გზაა და ამას ვერასოდეს გავექცევით. არცაა საჭირო!

დღეს, იმ წლებისგან განსხვავებით, აბსოლუტურად განსხვავებული გამოწვევების წინაშე ვართ. სწორედ ამ გამოწვევების გადაჭრის გზების რეალური სურათის გადმოცემას ეცდება ახალი გაზეთი და რამდენად შევძლებთ, ეს უკვე თქვენი განსასჯელი იქნება, ძვირფასო მკითხველო. გაზეთის რედაქციისათვის მუდამ ძვირფასი იქნება თითოეული თქვენგანის აზრი და შეხედულება მიმდინარე პროცესებისადმი. ამიტომ ვიტოვებთ იმედს, რომ აქტიური თანამშრომლობა, როგორც ეს იყო წლების მანძილზე, ახლაც გაგრძელდება. ჩვენ კი ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ბიბლიური შეგონება – „პირველად იყო სიტყვა“ გავამართლოთ და, რაც მთავარია, ეს „სიტყვა“ იყოს მართალი.

მაშ, ასე, ჩვენ ვიწყებთ!

გიორგი გურასპაშვილი: ფართო მასშტაბით ვიწყებთ მთელი რიგი პროექტების ხორცშესხმას და იმედი გვაქვს, ტემპი აღარც შენელდება

გასული წლის ადგილობრივი არჩევნების პერიოდში დღევანდელი ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებლის საარჩევნო

პროგრამაში ერთ-ერთი ძირითადი პირობა გახლდათ ის, რომ მისი არჩევის შემთხვევაში მუდმივი კომუნიკაცია ექნებოდა ამომრჩეველთან. პირობა არ დარღვეულა. მისი მუშაობის სტილიდან გამომდინარე, ასეთი კომუნიკაცია ყოველდღიურობად იქცა და დიალოგი მოსახლეობასთან ქალაქში თუ სოფლად მუდმივად მიმდინარეობს. დღევანდელი ჩვენი შეხვედრაც ამის გამოძახილია. ამ საგაზეთო ინტერვიუში ბატონი გიორგი გურასპაშვილი ბევრ სიახლეზე საუბრობს, რაც, რა თქმა უნდა, საინტერესო იქნება მკითხველისთვის.

–ბატონო გიორგი, უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა გითხრათ მოსახლეობის სახელით, რომ ოთხმოცწლიანი ისტორიის მქონე გაზეთი შეუნარჩუნეთ რაიონს. რომ არა გამგეობისა და საკრებულოს აქტიური ნება, გაზეთი, ფაქტობრივად, დაიხურებოდა და გაქრებოდა...

–სამადლობელი აქ არაფერია. მართალია სოციალურმა ქსელებმა მოიცვა მთელი მსოფლიო, მაგრამ ჩვენ შესანიშნავად გვესმის, რომ გაზეთის როლი მაინც ძალიან დიდია. მართლა დილეტანტი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკოსი თუ მენეჯერი, ვინც ჩათვლის, რომ მას მედია არ სჭირდება. რაიონული გაზეთი მუდამ ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი იყო მმართველ რგოლსა და მოსახლეობას შორის და ამ ხიდის

(გაგრძელება II გვერდზე)

– მივიდნენ, ნახეს, გაიმარჯვეს ... ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“ საქართველოს ჩემპიონები ხაშურელი მოსწავლეები გახდნენ

ინტელექტუალები, ერუდირებულები, ნიჭიერები ბრწყინვალე გუნდი...ამ ეპითეტებით ამკობდნენ წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის სკოლა-პანსიონის მოსწავლეთა გუნდს საქართველოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, რომელშიც ამ მართლაც საოცარმა ბავშვებმა 71 რაიონის წარგზავნილებს აჯობეს და ღირსეული ჩემპიონები გახდნენ.

ვიდრე ჩემპიონატის პერიპეტიებზე მოგითხრობთ, გვინდა, ყველამ გაიცნოს ეს ბავშვები, რადგან ისინი არა მხოლოდ საკუთარი სკოლის (რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის მათ აღზრდაში), არამედ მთელი რაიონის მოსწავლეთა ერთგვარი სახეები არიან: ლუკა ყაულაშვილი, მარიამ რობაქიძე, მარიამ ლეშკაშელი, მარიამ მაისურაძე, სოსო ბარბაქაძე და ოთარ ბანცაძე. აი, ის შესანიშნავი გუნდი, აი, ის ჩემპიონები, რომლებმაც ასე გაგვახარეს და მთელი ჩვენი მუნიციპალიტეტი ასახელეს.

არადა, სიმართლე რომ ითქვას, ამ ბავშვებისგან ასეთი წარმატება მოულოდნელი არც ყოფილა. უფრო მეტიც: მათი ინტელექტუალური პოტენციის გათვალისწინებით, ველოდით კიდეც. ასეთი მოლოდინი კი თვითონ ამ ბავშვებმა შექმნეს. ჯერ იყო და კულტურის სამსახურის მიერ შესანიშნავად ორგანიზებულ ინტელექტუალურ თამაშში რაიონის ჩემპიონები გახდნენ (აქ აუცილებლად უნდა ვახსენო ხაშურის IV საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდი, რომელიც ვიცეჩემპიონი გახდა და რომლის მოსწავლეთა ერუდიციის დონე ძალზე მაღალი იყო). შემდეგ მათ ბრწყინვალე სტილში მოიგეს საქართველოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შესარჩევი ტური (სხვათაშორის, აქაც მეორე ადგილზე IV სკოლის გუნდი გავიდა) და შემდეგ იყო ფინალი თბილისში.

წარმოიდგინეთ, უზარმაზარ დარბაზში შეკრებილი 71 მუნიციპალიტეტის გუნდი. მღელვარება, ემოცია, მწუხარება, სიხარული... ყველაფერი ერთად ტრიალებდა ამ დარბაზში. პირველი თორმეტი კითხვის შემდეგ ჩვენები 10 სწორი პასუხით (თავისთავად ბრწყინვალე შედეგი) მეორე ადგილზე არიან. ერთი ქულით მათ ბათუმი და ცაგერი უსწრებს. შემდეგი 12 კითხვა, კვლავ მეორე შედეგი და 19 სწორი პასუხი. აქ უკვე ოთხი სკოლაა მათზე წინ თითო ქულით: ბათუმი, ცაგერი, საგარეჯო და ე.წ. „კომაროვი“. ბოლო 12 კითხვაც და დამთავრდა თამაში. გასუსული დარბაზი. გუნდებმა არ იციან მოწინააღმდეგეთა შედეგები. როგორც იქნა ისმის დიქტორის ხმა: მეორე-მესამე ადგილები: ბათუმი-ცაგერი -26-26 სწორი პასუხი.. მცირე პაუზა... შემდეგ კი: „მოსწავლეთა შორის „ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის“ საქართველოს 2015 წლის ჩემპიონი გახდა წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის სკოლა-პანსიონის გუნდი... 27 სწორი პასუხი“... დირექტორის ხმა ემოციების ფონზე იკარგება. ჩვენი გუნდი ჩემპიონია!

ვულოცავთ ამ ბავშვებს დიდ წარმატებას, ვულოცავთ სკოლას, ვულოცავთ ყველას, ვისაც გული შესტკივა ჩვენს რაიონზე. ღრმად გვწამს, ამ გუნდის წევრები მომავალშიც მრავალჯერ შეგვახსენებენ თავს და უფრო დიდი გამარჯვებებით გაგვახარებენ.

P.S. გამარჯვებული გუნდის წევრებს ჩემპიონის ტიტულთან ერთად ფასიანი საჩუქრებიც გადაეცა. მუნიციპალიტეტის გამგეობამ კი თითოეული 100 ლარით დაასაჩუქრა.

გ. გოგოლაძე

გიორგი გურასპაშვილი: ფართო მასშტაბით ვიწყებთ მთელი რიგი პროექტების ხორცშესხმას და იმედი გვაქვს, ტემპი აღარც შენელდება

(დასასრული)

ჩატეხვა დანაშაულადაც კი მიმაჩნია. მიხარია, რომ უკან დარჩა ყველა სირთულე, მოგვარდა ყველა იურიდიული თუ კანონმდებლობიდან გამომდინარე საკითხები და პირველ ნომერსაც უკვე აწვდით მკითხველს.

–ბატონო გიორგი, გაზეთი კრიტიკისა და მწვავე პუბლიკაციების გარეშე თავის სახესაც და მკითხველსაც დაკარგავს. მართალია მისი დამფუძნებლები გამგეობა და საკრებულოა, მაგრამ, ვფიქრობ, ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ჯანსაღ ოპონირებას.

–პირიქით. ხმამაღლა ვამბობ, რომ პირველი მე არ ვიქნები მომხრე, თუ გაზეთი მხოლოდ გამგეობისა და საკრებულოს მეხოტბედ მოგვევლინება. ჩვენ, დამფუძნებლები, რედაქციას ვაძლევთ სრულ კარტ-ბლანშს, რომ მისი დამოუკიდებლობის ხარისხი მაღალი იყოს. როგორ შეიძლება ჯანსაღ კრიტიკაზე უარის თქმა? მოგიწოდებთ კიდეც, რომ თუ თქვენ რაიმე შეცდომას აღმოაჩენთ ჩემი თუ ნებისმიერი თანამდებობის პირის მუშაობაში, ხმამაღლა განაცხადოთ. შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული და თუ ამ შეცდომებზე ნებისმიერ ადამიანს ვინმემ არ მიუთითა, ჩათვალეთ, რომ ვერასოდეს წავიწევთ წინ. ასე, რომ თქვენ ერთგვარი ოპოზიცია იქნებით ჩვენი და ამის გამო მუნიციპალიტეტის არცერთი თანამდებობის პირი არ გეტყვით საყვედურს. კრიტიკა არ უნდა იყოს აგებული რაღაც თითიდან გამოწოვილი ჭორებით, თორემ სხვაგვარი, ნებისმიერი სახის კრიტიკა მისაღები იქნება ჩვენთვის.

–აუცილებლად უნდა გკითხოთ იმ ცნობილი პროექტის შესახებ, რომელიც ხაშურის წყალმომარაგების სრულ რეაბილიტაციას ითვალისწინებს. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტი ჩვენს მუნიციპალიტეტში ჯერ არ განხორციელებულა. რამ გამოიწვია მისი შეფერხება?

– მართალი ბრძანდებით. ესაა პროექტი, რომლის განსახორციელებლად 10 მილიონამდეა საჭირო და ეს თანხა მოძიებულია. სამწუხაროდ, მსოფლიოში და, აქედან გამომდინარე, რეგიონშიც მომხდარმა ეკონომიკურმა ძვრებმა ცვლილებები გამოიწვია მისი განხორციელების ვადებში, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგი არ შესრულდება. სხვათაშორის, პროექტში ცვლილებებიც მოხდა და ესეც იყო შეფერხების მიზეზი. ახალი პროექტი მთლიანად ევროპულ მოდელზეა ორიენტირებული და ევროპის განვითარების ბანკი, რომლის სახსრებითაც უნდა მოხდეს სამუშაოების დაწყება, მზადაა ამისთვის. ვფიქრობთ, სამუშაოების დაწყება აღარ დააყოვნებს.

–წელს თუ დაიწყება?

–დიახ, სავარაუდოდ, წელსვე დაიწყება. მისი დასრულების შემდეგ კი მართლაც უზარმაზარი პრობლემა მოუგვარდება ქალაქს.

–სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე რას იტყვით?

–წელს უპრეცედენტო პროექტი განხორციელდება–ერთის გარდა მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული ყველა საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია. ის ერთიც - №6 ბაღი – უბრალოდ, აღარ ექვემდებარება კაპიტალურ რემონტს და ახლის აშენებაა საჭირო. ჩვენ ამაზეც ვფიქრობთ და ალბათ, შევძლებთ კიდეც მომავალ წელს. სხვათაშორის, შუშის ქარხნის დასახლების საბავშვო ბაღი ფაქტობრივად ახლიდან შენდება. გეტყვით თანხებსაც: ინფრასტრუქტურის სამინისტრომ და რეგიონული განვითარების ფონდმა დაგვაფინანსა 3 მილიონ 445 ათასი ლარით, რაც მილიონით მეტია, ვიდრე გასულ წელს იყო. ეს საკმაოდ დიდი თანხაა. სოფლების საბავშვო ბაღები, შეიძლება ითქვას, ახალ სიცოცხლეს დაიწყებენ, რადგან მათ რემონტები დიდი ხანია არ ჩატარებიათ. ქვიშხეთში კი 32 წლიანი წყვეტის შემდეგ პირველად გაიხსნება საბავშვო ბაღი. ეკონომიკის სამინისტრომ გადმოგვცა აქ არსებული ყოფილი ფოსტის შენობა და სწორედ მის „ბაზაზე“ მოხდება ახალი საბავშვო ბაღის აგება. ამისათვის 89 ათასი ლარია გამოყოფილი. ამის პარალელურად იწყება ხაშურში ვაჟა-ფშაველას და სურამში პუშკინისა და რუსიას ქუჩების სრული რეაბილიტაცია, მიმდინარეობს პროექტირება და სურამში მოხდება შუშის ქარხნიდან სტადიონამდე არსებული ქუჩის მოასფალტება და 26 მაისის ქუჩის სრული რეაბილიტაცია, თუმცა ეს უკვე მომავალ წელს მოხდება. საერთოდ სურამი პრიორიტეტულ მიმართულებაშია და ჩვენ ვცდილობთ, შიდა ტურიზმის განვითარებას შევუწყოთ ხელი. თითქმის უკვე მზადაა „რკინის წყლის“ რეაბილიტაციის პროექტი და ამ სამუშაოებს დავიწყებთ, 75 ათასი ლარია გამოყოფილი სურამის პოლიკლინიკის აღდგენისათვის. მთლიანად მოწესრიგდება ადმინისტრაციული შენობა. უკვე ჩატარდა ტენდერი და გამარჯვებულიც გამოვლენილია, რომელიც ხაშურში პოლიციის მიმდებარე პარკს მოიყვანს წესრიგში. აქვე გაკეთდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელების მემორიალი, რომლებიც მართლაც იმსახურებენ ასეთ პატივს. უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი ბიბლიოთეკის შენობის რემონტისთვის. ასევე რემონტი ჩაუტარდება მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. გარემონტდება კომისარიატის შენობა. ამის გარდა ყველა სოფელში, სოფლის პროგრამების გარდა მოვახერხებთ და განვახორციელებთ სხვადასხვა პროექტებს. ფლევში, ნაცარგორაში და ცოცხნარაში საბოლოოდ გადავწყვეტთ წყლის პრობლემას. წრომსა და ხცისში ჯერ კიდევ გასულ წელს დავიწყეთ და წელს დამთავრდება გადამქაჩის მშენებლობა. შარშან ამისათვის დაიხარჯა 350 ათას ლარზე მეტი. წელს ამას კიდევ დაემატება 200 ათასი ლარი. უკვე შეძენილია აგრეგატი და, შეიძლება ითქვას, რომ შიდა ქართლის მასშტაბით ესაა უპრეცედენტო მასშტაბის პროექტი, რომლის დასრულების შემდეგ ხცისში გაივლის ცენტრალური მაგისტრალი, შემდეგ დაიქსელება და მივიღებთ უმაღლესი ხარისხის წყალსადენს. პარალელურად დაიწყება სურამულაზე და ბიჯნისულაზე ნაპირსამაგრი და გასაწმენდი სამუშაოები. ამისათვის 800 ათასი ლარია გამოყოფილი. სხვათაშორის, ბიჯნისულაზე არასოდეს არ მომხდარა მსგავსი რამ და ჩვენ პირველად ვაკეთებთ ამას. ესაა სამ წელზე გაწერილი გეგმა, საიდანაც მნიშვნელოვანი წილი წელს დაიხარჯება. მისი დასრულების შემდეგ კი ამ მდინარეზე პრაქტიკულად აღარ იქნება ნაპირგაუმაგრებელი ადგილი.

–საინტერესოა დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმთან დაკავშირებული გეგმებიც...

– რაც შეეხება ამ სახლ-მუზეუმს, აქ მართლაც სასიხარულოდ გვაქვს საქმე. მე პირადად, რეგიონის გუბერნატორთან ერთად შევხვდი პრემიერ-მინისტრს, რომლის უშუალო ძალისხმევით და ჩარევით სასიკეთოდ გადაწყდა პრობლემა. უკვე ხელთ გვაქვს პროექტი, რომელიც თითქმის იდეალურია და მეორე კვარტლის ბოლოს მოხდება ფინანსების გადმორიცხვა. ფინანსთა მინისტრმა უშუალოდ პრემიერისგან მიიღო ამის დავალება და ამ პროექტისთვის საჭირო 800 ათას ლარზე მეტი უკვე გამოყოფილია. წელს მთლიანი თანხის ათვისება პრაქტიკულად ვედარ მოხერხდება, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ გაისად ამ დროს მუზეუმი სრულად რეაბილიტირებული იქნება.

–ჩვენთვის ცნობილია, რომ გამგეობა ბევრს მუშაობს ინვესტიციების მოზიდვაზე...

– დიახ და სასიხარულოა, რომ ამ მხრივ პირველი ნაბიჯებიც გადაიდგა. უკვე დამტკიცებულია პროექტი და ჩვენს მუნიციპალიტეტში, კერძოდ კი გომში, აზერბაიჯანული კომპანია განახორციელებს სამშენებლო მასალების საწარმოს მშენებლობას. მთლიანი ინვესტიციების მოცულობა 5 მილიონამდეა. უკვე დამტკიცებულია აგრეთვე ნახევარმილიონიანი ბიტუმის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობის პროექტიც. აქტიურად ვმუშაობთ უკრაინული და ლატვიელი ბიზნესმენების ჯგუფთან და არ არის გამორიცხული იქიდანაც შემოვიდეს ინვესტიცია. ხაშურშიც, ადგილობრივი ბიზნესმენებისგანაც იწყება რიგი მშენებლობები, ასე რომ აშკარად იგრძნობა გააქტიურება, რაც დადებითად აისახება ჩვენს ეკონომიკაზე.

–მოსახლეობაში და ფეხბურთის გულშემატკივრებში დიდ ტკივილს იწვევს „ევერიის“ ნახევრადგანადგურებული სტადიონი...

–დამიჯერეთ, რომ არანაკლებ განვიცდით ამ პრობლემას. ამჟამად ეს სტადიონი სახელმწიფოს 100 პროცენტიანი წილითაა დაფუძნებული, რომელსაც, სამწუხაროდ, ვალიც აქვს. ჩვენ ვმუშაობთ,რომ იგი მუნიციპალიტეტს ვალის გარეშე გადმოეცეს და ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება მის რეაბილიტაციაზე ვიფიქროთ. სხვათაშორის, ახლახანს სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი რიგაში და იქ ვნახე სტადიონი, რომლის მოწყობა თანამედროვე ტექნოლოგიებით ბევრად იაფი ჯდება, ვიდრე რკინა-ბეტონის კარკასებიანი ნაგებობა. ასე, რომ შეიძლება მისი აღდგენა ისე, რომ მილიონები არ დაიხარჯოს. ამჟამად კი ვიწყებთ სპორტკომპლექსის პროექტირებას. ამისათვის უკვე გამოყოფილია 60 ათას ლარამდე თანხა. მთელი მშენებლობა კი, 1,5 ან 1,8 მილიონი ლარი დაჯდება. შერჩეულია სავარაუდო ადგილიც – იმერეთის ქუჩაზე, თუმცა ჯერ კონსულტაციები მიდის და მშენებლობის ადგილიც დაზუსტდება. წელს კი ცხრამუხის სტადიონი მოწესრიგდება ისე, რომ აქ სავარჯიშოდ და სათამაშოდ ყველა პირობა იქნება შექმნილი. ამისათვის 60 ათას ლარამდე დაიხარჯება. თავში არ მიხსენებია და ალბათ წელსვე დავიწყებთ სამუსიკო სკოლის ფასადისა და დარბაზის სრულ რემონტს ისე, რომ ევროპულ მოდელს მივუახლოვდეთ.

–საკმაოდ სავალალო მდგომარეობაშია რკინიგზის კულტურის სახლიც...

–დიახ, გეთანხმებით და მომავალ წელს მთავარ პრიორიტეტებში სწორედ მისი კაპიტალური რემონტი მოხვდება. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ესაა უნიკალური ნაგებობა და აუცილებლად ვიზრუნებთ, რომ მან ღირსეული სახე მიიღოს. არჩევნების წინ მოსახლეობას დავპირდი ამ პრობლემის მოგვარებას და ჩავთვალეთ, რომ ეს ჩემი ღირსების საქმეა, რომ დანაპირები შევასრულო.

საერთოდ, წლის დასაწყისიდან, კარგად მოგეხსენებათ, მთელ ქვეყანაში იყო ეკონომიკური სირთულეები, მაგრამ ჩვენი რაიონის მაგალითიდანაც გეტყვით, რომ სირთულეები აშკარად უკან დარჩა. უკვე ფართო მასშტაბით ვიწყებთ მთელი რიგი პროექტების ხორცშესხმას და, იმედი გვაქვს, ტემპი აღარც შენელდება.

–ბატონო გიორგი, მადლობა ინტერვიუსათვის და ერთ იდეას გთავაზობთ: კვარტალში ერთხელ მაინც ჩვენი გაზეთის საშუალებით ერთგვარი ანგარიში რომ ჩააბაროთ მოსახლეობას.

–მე მზად ვარ, ნებისმიერ დროს ვითანამშრომლო მედიასთან და პასუხი გავცე ამომრჩევლის ნებისმიერ შეკითხვას, თუნდაც ეს წვრილმან თემებს ეხებოდეს. ასე, რომ ჩათვალეთ, ამ საკითხზე შეთანხმებულნი ვართ.

გოგი გოგოლაძე

ბიზნესი

„პინო“ - ხაშურული ბრენდი

ჩვენი საუკუნე ახალ-ახალ გამოწვევებს გვთავაზობს. შეიცვალა ცხოვრების წესიც. ცხოვრების ასეთმა რიტმმა გააჩინა მოთხოვნილება დროის დაზოგვისა და მზა პროდუქციის მოხმარების მიმართ. ეს ეხება საკვებ პროდუქტებსაც. ადამიანები ვცდილობთ მინიმალური დროის

დახარჯვით, საკვებისგან მაქსიმალური სიამოვნება მივიღოთ. ამ მოთხოვნას კი ბაზარზე მრავალად წარმოდგენილი ნახევარ-ფაბრიკატების ფართო ასორტიმენტი სრულად აკმაყოფილებს. გამარტივდა სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტიც. სავაჭრო ობიექტებში მადის-აღმძვრელად მომზირალი ხინკლის, ქაბაბის, ტოლმის და სხვა ნახევარფაბრიკატების გამოჩენის შემდეგ, იშვიათად თუ ნახავთ თქვენი სტუმრობით გახარებულ, ეზოში ქათამს დადევნებულ მასპინძელს-ბაზარი დიდია და მრავალფეროვანი. რთულია თავის დამკვიდრება და მომხმარებელთა გემოვნებისა და პრეტენზიების დაკმაყოფილება, როცა კონკურენტულ გარემოში მთავარ მოთხოვნას ხელმისაწვდომი ფასები, გემოვნური თვისებები და პროდუქციის უსაფრთხოება წარმოადგენს.

მეტი თვალსაჩინოებისთვის, ჩვენ დღეს ნახევარფაბრიკატების ადგილობრივ მწარმოებელს შ.პ,ს “პინო”-ს პროდუქციის წარმოებას გაგაცნობთ. მან უკვე დაიმსახურა მომხმარებელთა ნდობა. ვნახეთ პროდუქციის წარმოების პროცესი. სტერილურმა გარემომ, სანიტარული ნორმების დაცვამ, პროდუქტების ვარგისიანობამ, ჩემი კმაყოფილება გამოიწვია. შ.პ.ს “პინო” ნამდვილად წარმოადგენს მაგალითს, თუ როგორ შეიძლება საქართველოში კარგი საქმის კარგად კეთება-ორმაგი სარგებლიანობის მიღება. წარმოების დასაწყისზე, განვითარებასა და სამომავლო გეგმებზე, შ.პ.ს “პინო”-ს დირექტორს და თანად-ამფუძნებელს ბ.ნ. ჯიმშერ ტყემალაძეს ვესაუბრეთ:

-2000 წელს, როდესაც ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, “პინო”-ში დავიწყე მუშაობა მძღოლ ექსპედიტორად. მაშინ მხოლოდ ნაყინის წარმოება ხდებოდა. 2006 წელს მეპატრონეებმა გაყიდეს და ბანკიდან აღებული კრედიტის საშუალებით მე და ჩემმა მეგობარმა, დღეს უკვე მეწილემ და თანადამფინანსებელმა გელა გელაშვილმა შევიძინეთ. თავიდან მხოლოდ ნაყინის ვაწარმოებდით. ბაზრის მოთხ-ოვნილებიდან გამომდინარე, მეოთხე წელია ნახევარფაბრიკატების წარმოებაც დავიწყეთ. ყველაფერი დიდი შრომისა და ძალისხმევის შედეგია.

-რა სახეობის ნახევარ ფაბრიკატებს აწარმოებთ?

-ჩვენ დღეისათვის თითქმის ყველა სახეობის ნახევარფაბრიკატებს ვამზადებთ. ნაყინი”პინო”, ხინკალი, ტოლმა, ქაბაბი, კოტლეტი, გუფთა, „ბლინჩიკი“, პელმენი. მოსახლეობისგან ვყიდულობთ ინგრედიენტებს მათ მოსამზადებლად, შემდეგ ხდება მათი მაცივრებში მოთავსება. თითოეულ სახეობას მათთვის საჭირო ტემპერეტურა ესაჭიროება გასაყინად და სარეალიზაციოდ.

-საიდან შემოდის ხორცი, რამდენად ვარგისიანი და უსაფრთხოა მისი გამოყენება?

-ხორცი ძირითადად ევროპიდან შემოდის, გაყინული სახით, ჩვენი მომწოდებელი თბილისია. აბსოლუტურად უვნებელი და საკვებად ვარგისია. გავლილი აქვს ლაბორატორიული შემოწმება, გარდა ამისა, ხდება კიდევ დამუშავებული ხორცის სანიტარულად შემოწმებაც. იყო პრობლემები ხორცის საკვებად ვარგისიანობის თვალსაზრისით, მინდა დავარწმუნო და დავამშვიდო მოსახლეობა, დღეისათვის არანაირი შიშის საფუძველი არ არსებობს. თვეში ორჯერ შემოდის სანიტარული სამსახური და ხდება შემოწმება. მე და ჩემი ოჯახიც მომხმარებლები ვართ აქ დამზადებული ნახევარ-ფაბრი-კატების.

-სად ხდება პროდუქციის რეალიზაცია?

-ჩვენ მოვიცავთ არა მხოლოდ ხაშურის რაიონს, ჩვენი პროდუქცია საკმაოდ კონკურენტუნარიანია შიდა ქართლის, იმერეთის, გურიის, აჭარის,სამცხე-ჯავახეთის ბაზარზე.ერთ დღეში საშუალოდ 0,5 ტონა ხორცის დამუშავება ხდება. დასაქმებული გვყავს 50ადამიანი. დიდი სურვილი გვაქვს წარმოების გაფართოების, მეტი სამუშაო ადგილის შექმნის. ორიენტ-ირებულები ვართ ხარისხზე, ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

თამარ ჯავახიშვილი

მოსახლეობის თანადგომით, ბევრს შევძლებთ...

ხშირად გვავიწყდება, რომ ესთეტიკური სიამოვნების მიღება, ისეთივე აუცილებელი მოთხოვნილებაა ადამიანისათვის, როგორიც ფიზიოლოგიური. გამწვანებული სკვერები, სასეირნო და დასასვენებელი ადგილები, ფანტანები, სპორტული მოედნები, ჩვენი და ჩვენი შვილების ხვალინდელი დღეა. მიტოვებული და დავიწყებული სასაფლაოები, ჩვენი გუშინდელი დღე. მაწანწალა ძაღლებით სავსე ქუჩები-დღევანდელი საფრთხე, ისევ ჩვენი შვილებისთვის.

არსებობს სამსახური, რომელსაც ამ პრობლემების მოგვარება უშუალოდ ევალება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ თითოეული ჩვენგანის ჩართულობა და თანამონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. გასაკეთებელი რომ მართლაც ძალიან ბევრია, ამაზე, კომპეტენტური სამსახურებიც და მოსახლეობაც ერთად ვთანხმდებით.

შოთა კოპაძე- ა(ა)იპი “სავანე”-ს დირექტორი:

ა(ა)იპ-ი “სავანე (ყოფილი სარიტუალო მომსახურება)” გახლავთ არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც 2013 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბაზაზე შეიქმნა. მე ამ სამსახურს 2015 წლის იანვრის თვიდან ვხელმძღვანელობ. ჩვენი სამსახურის კომპეტენციას, სკვერების, ბაღების, გაზონების, შადრევნების, გამწვანების ობიექტების კეთილმოწყობა და მოვლა წარმოადგენს. მაწანწალა ძაღლების მოვლა-პატრონობა და მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა,ჩვენი სამსახურისათვის დღესაც ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება. აქტიურად ვმუშაობთ სპორტული მოედნების ფუნქციონირებასა და კეთილმოწყობაზე. ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფასაც ჩვენ ვახორციელებთ.

-რა თანხა იხარჯება ამისათვის?

-ჩვენი წლიური ბიუჯეტი 180 000 ლარია. აქედან, სასაფლაოების მოვლისა და სარიტუალო მოსახურებისათვის 50 000 ლარი, ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობის ხელშეწყობისათვის 77 500 ლარი, მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისთვის 15 000ლარია განკუთვნილი. 44 ადამიანი გვყავს დასაქმებული, მათი საშუალო ხელფასი 250 ლარს შეადგენს.

ამ ბიუჯეტის პირობებში, აღვადგინეთ ფანტანები, რომლებიც მუდმივად ჩართული უნდა იყოს, გავაკეთეთ განათებები, შემოვღობეთ „სამარადისოს“ სასაფლაო. ჩვენი სამსახურის საქმიანობა მხოლოდ ხაშურსა და სურამს მოიცავს. ხაშურის რაიონში სულ 182 სასაფლაოა, ჩვენ მხოლოდ ზემო სერის, ჭალის და გორათის სასაფლაოების ვემსახურებით. ყოველ პარასკევ დღეს ხდება საფლავების დასუფთავება.

-ამჟამად რა სახის სამუშაოები მიმდინარეობს?

-ხაშურის გამწვანების ობიექტების მდგომარეობა და კეთილმოწყობა ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე. ამისათვის, ვაწარმოებთ გამწვანებით სამუშაოებს, დავრგეთ ხეები, შემოვიტანეთ ვარდების 1500 ნერგი, ერთწლოვანი ყვავილების თესლები, მოხდება გაზონებისა და სკვერების გამწვანება. პროცესი გაგრძელდება მომავალ წელსაც. გვაქვს სანერგე მეურნეობა, გვყავს აგრონომები, გამოგვყავს ცაცხვის, „ცხენის“ წაბლის, იფანის, დეკორატიული ხეების ჯიშები. დიდი სურვილი გვაქვს აღვადგინოთ დანგრეული სათბური, მაგრამ რეკონსტრუქცია ძალიან დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. გვყავს გზების სარწყავი მანქანა, ეტაპობრივად მოხდება ცენტრალური გზების გადარეცხვა.

გასაკეთებელი მართლაც ძალიან ბევრია, მაგრამ რის გაკეთებასაც ვახერხებთ, მისი შენარჩუნებაც უნდა შევძლოთ. მოსახლეობამ უნდა გაითავისოს, რომ ეს მათთვის და მათი შვილებისთვის კეთდება და უნდა გაუფრთხილდნენ.

-დღეს თქვენი სამსახურისათვის ყველაზე დიდ პრობლემას რა წარმოადგენს?

-უზედამხედველო ცხოველთა გამრავლება ქალაქსა და დაბაში დღესაც აქტუალურ პრობლემად რჩება. გამრავლდნენ ქუჩაში მცხოვრები უპატრონო ძაღლები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოსახლეობას და ფეხით მოსიარულეებს. კვირაში დაახლოებით 50 ძაღლზე შემოდის საჩივარი. ხდება ამ ძაღლების დაჭერა და დროებით ვოლიერებში გადაყვანა, შემდეგ მათ გადავცემთ ლიცენზირებულ სამსახურებს.ჩვენ ვერ ვაკეთებთ ძაღლების სტერილიზაციას, რადგან წამალი საკმაოდ ძვირია და დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. პრობლემა გვაქვს ასევე “ბეიკერის ორმო”-სთან დაკავშირებითაც. ჩვენი მხრივ ყველაფერი კეთდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენი ქალაქის იერსახის გასალამაზებლად, არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი გამგებლის ბ.ნ-ი გიორგი გურასპაშვილის მხარდაჭერა. იგი აქტიურად ადევნებს თვალყურს ჩვენ საქმიანობას და ძალისხმევას არ იშურებს ხაშურის უკეთესი მომავლის შეასაქმნელად!

P.S. მაშინ, როცა ჩვენც ერთი ყვავილის, ხის დარგვა შეგვიძლია, როცა ჩვენი ბაბუების და ბებიების საფლავებს პოლიეთილენის გროვა ფარავს, მხოლოდ ასეთი სამსახურების არსებობაზე კი არა, ჩვენ წილ პასუხისმგებლობებზეც დავფიქრდეთ. ერთად უფრო ბევრნი ვიქნებით, უფრო ლამაზ სამყაროში!

თამარ ჯავახიშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №16

2015 წლის 4 მაისი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური დანიშნულების ობიექტების (ავტოსამრეცხაოები, ავტოტექმომსახურების) და კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის დამატებითი პირობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დასაქართველოს კანონი „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 239-ე მუხლის მე-14 პუნქტის „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. განაშენიანების რეგულირების გეგმისა და დატვირთვის ინტენსივობიდან გამომდინარე ხაშურში: ბორჯომის, შოთა რუსთაველის, დავით აღმაშენებლის, იმერეთის, ლესელიძის, 9 აპრილის, ფარნავაზის, გალაკტიონ ტაბიძის, თევდორე მღვდლის, ზაქარია ფალიაშვილის, მერაბ კოსტავას, გიორგი სააკაძის, თამარ მეფის, კარლო ტაბატაძის, ნიკო ლომოურის, 26 მაისის, ნოდარ დუმბაძის, ვაჟა-ფშაველას, იური გაგარინის, ვახტანგ გორგასალის, დემეტრე თავდადებულის, გორის ქუჩებზე და დაბა სურამში: შოთა რუსთაველის, დავით აღმაშენებლის, გრიგოლ სურამელის, თამარ მეფის და მათთან შემაერთებელი ქუჩების ფეხით სავალი ნაწილიდან 20 (ოცი)-მეტრის დაშორებითავტოსამრეცხაოების და ავტოტექმომსახურების ობიექტების მშენებლობები განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული თან დართული სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით (დანართი#1- ობიექტების განლაგების გეგმა, თან ერთვის 1 ფურცლად, დანართი #2 - სალექარის გეგმა, თან ერთვის 1 ფურცლად და დანართი #3 - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, თან ერთვის 1 ფურცლად);

მუხლი 2. არსებულიშენობა-ნაგებობები, რომელიც ფუნქციურად გამოიყენება ავტოსამრეცხაოებად და ავტოტექმომსახურების დანიშნულებით და მათზე არ არის გაცემული მშენებლობის ნებართვები ავტოსამრეცხაოების ან ავტოტექმომსახურების ფუნქციური დატვირთვით, დადგენილების მიღებიდან 6 თვის განმავლობაში მოხდეს მათი რეკონსტრუქცია დანართი #1-ის და #2-ის შესაბამისად დამშენებლობის ნებართვის აღება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვალოს როგორც უკანონო მშენებლობა.

მუხლი 3. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ამ დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ადგილებში,I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე გაიცეს მშენებლობის ნებართვა მეორე კლასის მშენებლობისათვის დადგენილი წესით.

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის დანარჩენ ტერიტორიებზე, მშენებლობა განხორციელდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57-ე დადგენილების 66-ე მუხლის შესაბამისად, სამშენებლო ნორმებისა და სანიტარული წესების სრული დაცვით.

მუხლი 5. დადგენილების მოქმედება გავრცელდეს I კლასს დაქვემდებარებული ყველა სახის შენობა-ნაგებობაზე, მათ შორის დროებით შენობაზე-ნაგებობაზე და სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობაზე. მიუხედავად იმისა, I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობა გამოიყენება სამყოფად, სადგომად, სათავსოდ თუ სხვა დანიშნულებით.

მუხლი 6. დადგენილების მოქმედება გავრცელდეს I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის როგორც ახალ მშენებლობაზე (მათ შორის, მონტაჟზე), ისე I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციაზე და დროებით შენობისა და ნაგებობის განთავსებაზე (მონტაჟზე).

მუხლი 7. დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება I კლასს დაქვემდებარებული ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობის დემონტაჟზე.

მუხლი 8. შენობა-ნაგებობის ფასადი არ ითვლება ქუჩაზე ან გზაზე განთავსებულად ან/და განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში მდებარე ქუჩის, მოედნის, ხიდის, სკვერის, პარკის, ბაღის, მიწის ნაკვეთებს შორს არსებული გასასვლელებისა და სხვა სივრცეების, ასევე სხვა საზოგადოებრივი ტერიტორიის (სივრცის) უშუალოდ მომიჯნავედ განთავსებულად, თუ ასაშენებელ შენობა-ნაგებობასა და საზოგადოებრივ ტერიტორიას (სივრცეს) შორის უკვე არსებული შენობა-ნაგებობა ან/და მიწასთან მყარად დაკავშირებული სხვა ობიექტი (მათ შორის ღობე) მთლიანად ფარავს ასაშენებელი შენობა-ნაგებობის საზოგადოებრივი ტერიტორიის (სივრცის) მხარეს განთავსებულ ფასადს.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სკვერებსა და პარკებში დადგენილების ამოქმედებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში მოხდეს უკანონო და უსახური ჯიხურების, შენობა-ნაგებობების დემონტაჟი.

მუხლი 10. ხაშურის, დაბა სურამის და სხვა დასახლებულპუნქტებში სისუფთავისა და წესრიგის დაუცველობა,საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, სავაჭრო ობიექტებისათვის მიმაგრებული ან/და მიმდებარე ტერიტორიის მოუვლელობა, მასზე სამშენებლო ან სხვა ნარჩენების თვითნებური დაყრა გამოიწვევს საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"-ს 148-ე მუხლით პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.

მუხლი 11. საქართველოს მთავრობის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" 2014 წლის 6 იანვრის #41 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად 5 წლის განმავლობაში 2019 წლის 1 იანვრამდე საზოგადოებრივი მომსახურების ობიექტებზე, როგორც ფიზიკურმა, ასევე იურიდიულმა პირებმა (სკოლები, საბავშვო ბაღები, სავაჭრო ობიექტები, საავადმყოფოები, პოლიკნინიკები) მოაწყონ პანდუსები.

მუხლი12. მცირე მდინარეთა წყლის რესურსების სისუფთავის შესანარჩუნებლად (მათი დაბინძურებისაგან დასაცავად, მოლამვისა და დაშრეტისაგან) აიკრძალოს ნებისმიერი სახის მშენებლობა მდინარე შოლის წყალდაცვითი ზოლის (ზონის) ფარგლებში, კალაპოტის ორივე მხარეს 10 მეტრში, მდინარე სურამულასწყალდაცვითი ზოლის (ზონის) ფარგლებში კალაპოტის ორივე მხარეს 20 მეტრში და მდინარე ჭერათხეულას წყალდაცვითი ზოლის (ზონის) ფარგლებში კალაპოტის ორივე მხარეს 30 მეტრში.

მუხლი13. დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური დანიშნულების ობიექტების (ავტოსამრეცხაოები, ავტოგასამართი, ავტოტექმომსახურების) და I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის დამატებითი პირობების განსაზღვრის შესახებ" ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 მაისის [1]19 დადგენილება.

მუხლი 14. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ვაჟა შუბითიძე**

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება #17

2015 წლის 4 მაისი, ხაშური

ხაშურის და დაბა სურამის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებში, სკვერებში, ბულვარში, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში, საერთო სარგებლობის ეზოებში (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის გარეშე), საერთაშორისო მნიშვნელობის გზების ორივე გვერდულის გასწვრივ, გამწვანების - ზოლში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ყოლის აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ

აქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 239-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ხაშურის და დაბა სურამის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებში, სკვერებში, ბულვარში, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში, საერთო სარგებლობის ეზოებში (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის გარეშე), საერთაშორისო მნიშვნელობის გზების ორივე გვერდულის გასწვრივ, გამწვანების - ზოლში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ყოლის აკრძალვის წესი (დანართი #1 თან ერთვის 4 ფურცლად) და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (დანართი 2 თან ერთვის 1 ფურცლად);

მუხლი 2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148 -ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირება დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს და ხაშურის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს ააიპ „სავანე"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 443856944).

მუხლი 3. დადგენილება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს და ხაშურის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს ააიპ „სავანე"-ს.

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ვაჟა შუბითიძე**

დანართი #1

ხაშურის და დაბა სურამის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებში, სკვერებში, ბულვარში, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში, საერთო სარგებლობის ეზოებში (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის გარეშე), საერთაშორისო მნიშვნელობის გზების ორივე გვერდულის გასწვრივ, გამწვანების ზოლში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ყოლის აკრძალვის წესი

(გაგრძელება 5 გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილება #17

(დასასრული)

მუხლი 1. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს განახორციელოს საინფორმაციო უზრუნველყოფა (ტელევიზია, გაზეთი და სხვა მედია საშუალებებით) მიზნით, ხაშურის და დაბა სურამის ადმინისტრაციულ საზღვრებში აიკრძალოს წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ: ქუჩებში, სკვერებში, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში, საერთო სარგებლობის ეზოებში (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის გარეშე), საერთაშორისო მნიშვნელობის გზების ორივე გვერდულის გასწვრივ, გამწვანების ზოლში მეთვალყურეობის ქვეშ ან/და მეთვალყურეობის გარეშე ყოლა. (გარდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის ტექნიკური რეგლამენტის - „სეზონურ საძოვრებზე ცხოველთა გადარეკვის ვეტერინარულ-სანიტარიული წესის" დამტკიცების შესახებ" 422 დადგენილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

მუხლი 2. ეს წესი აწესრიგებს ხაშურის და დაბა სურამის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე ქუჩებში, სკვერებში, ბულვარში, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში, საერთო სარგებლობის ეზოებში (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის გარეშე), საერთაშორისო მნიშვნელობის გზების გვერდულის გასწვრივ, გამწვანების ზოლში (მეთვალყურეობის ქვეშ ან/და მეთვალყურეობის გარეშე) დაჭერილი და სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ჯარიმის გადახდის ოდენობასა და წესს, ასევე მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 3. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პატრონიანი ცხოველი - ცხოველი, რომელსაც ჰყავს მეპატრონე და კონკრეტული მომენტისთვის იმყოფება მეპატრონის, ან მეპატრონის მიერ უფლებამოსილი პირის კონტროლქვეშ; (ხელშეკრულებით ან/და წერილობითი მინდობილობით სამეთვალყურეოდ გადაცემული ცხოველის დაკარგვის ან/ და მესამე პირის მიმართ ზიანის წარმოშობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება მეთვალყურე პირს).

ბ) უმეთვალყურეო ცხოველი - ცხოველი, რომელზეც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ ხორციელდება მეთვალყურეობა და რომელსაც ცხოველთა სადგომში (სპეციალურად გამოყოფილი ადგილი) გადაყვანიდან წესით განსაზღვრულ ვადაში დაუდგინდება მეპატრონე;

გ) ცხოველის მესაკუთრე (მეპატრონე) - პირი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში ჰყავს ცხოველი და რომელიც უზრუნველყოფს ცხოველის წინამდებარე წესით დადგენილ მოვლა-პატრონობას;

დ) ცხოველის მოვლა-პატრონობა - ცხოველის კვება, ცხოველისთვის აუცილებელი საარსებო პირობების შექმნა, საცხოვრებელი ფართის გამოყოფა შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური პირობებით. ვეტერინარული ზადამხედველობა და მომსახურება - დაავადების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, ცოფის და სხვა დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაცია, ვეტერინარული მკურნალობა;

ე) ვეტერინარული სამედიცინო მომსახურება - ცხოველთა სნეულებების პროფილაქტიკა და მათი მკურნალობა;

ვ) ცხოველთა სადგომი - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი სპეციალურად გამოყოფილი ადგილი, რომელშიც შესაძლებელია ცხოველთა გარკვეული რაოდენობის მოთავსება მათი სამართლებრივი, ვეტერინარული მდგომარეობის დადგენისა და შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით;

მუხლი 4. მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის გარეშე მყოფი წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვი ექვემდებარება დაუყოვნებლივ იზოლაციას.

მუხლი 5. წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის დაჭერის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ ხდება ფაქტის დადასტურება ფოტო ან ვიდეომასალით. უმეთვალყურეოდ მიტოვებული წვრილფეხა ან მსხვილფეხა პირუტყვის დაჭერის ადგილზე ან/და სპეციალურ სადგომზე გადაყვანის, მესაკუთრის დადგენის შემდეგ, ცხოველთა სადგომისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე მოხდება ოქმის შედგენა. მესაკუთეს ადგილზე განემარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 6. უმეთვალყურეოდ გაშვებული ცხოველის დაჭერის შემთხვევაში ხაშურის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური ავრცელებს ინფორმაციას (ტელევიზია, გაზეთი და სხვა მედია საშუალებებით) აღნიშნულის შესახებ იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ინფორმაციის საზოგადოების ფართო ფენებისადმი მისაწვდომობა. გავრცელებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მონაცემებს დაკავებული პირუტყვის შესახებ.

მუხლი 7. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი აიპ „სავანე" ვალდებულია:

ა) სათანადო დონეზე განახორციელოს იზოლირებული ცხოველის მოვლა-პატრონობა, შენახვა, დაცვა, კვება და დარწყულება;

ბ) არ განახორციელოს იზოლირებული შინაური ცხოველის მიმართ არაჰუმანური და კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი.

გ) აწარმოოს ცხოველთა მონაცემების ბაზა; (როდის დააკავა? სად? ვინ წაიყვანა? როდის?)

დ) შინაური ცხოველის სადგომზე მიყვანისთანავე შინაურ ცხოველს ჩაუტაროს შესაბამისი ვეტერინარული შემოწმება შესაბამისი ექიმ-ვეტერინარის წერილობითი დასკვნით, რის საფუძველზეც დგინდება არის თუ არა იზოლირებული შინაური ცხოველი რაიმე დაავადების მატარებელი და ქმნის თუ არა გადამდები დაავადებების გავრცელების საშიშროებას. ვეტერინარული შემოწმება უნდა ჩაუტარდეს ასევე იზოლირებული შინაური ცხოველის მეპატრონისათვის დაბრუნების დროს;

მუხლი 8. იმ შემთხვევაში, თუ იზოლირებული შინაური ცხოველი (პირუტყვი) ექიმ-ვეტერინარის მიერ ჩატარებული შემოწმების და მისი დასკვნის საფუძველზე აღმოჩნდება დაავადებული და ქმნის გადამდები დაავადებების/ სნეულებების გავრცელების საშიშროებას, მაშინ იგი შესაბამისი სანიტარიული ნორმების (წესების) დაცვით ექვემდებარება განადგურებას.

მუხლი 9. ხაშურის და დაბა სურამის ქუჩებში, ბაღში, პარკში, სკვერში, ბულვარში, გაზონში, საერთო სარგებლობის ეზოებში (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის გარეშე), საერთაშორისო მნიშვნელობის გზების ორივე გვერდულის გასწვრივ, გამწვანების ზოლში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის შემთხვევაში, წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე დაჯარიმდება კანონით დადგენილი წესით 20 ლარის ოდენობით (პირუტყვის სულადობის რაოდენობის მიუხედავად), ხოლო 6 თვის განმავლობაში განმეორებით ჩადენილი ქმედებისათვის - 50 ლარის ოდენობით.

მუხლი 10. თუ წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვი იმყოფება მეთვალყურეობის გარეშე ან/და მეთვალყურეობის ქვეშ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის, რომელშიც მითითებული იქნება სამართალდარღვევის არსი და მისი ჩადენის ადგილი, შედგენაზე უფლებამოსილი პირი,ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური, უზრუნველყოფს შეტყობინებას ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ააიპ „სავანე"-სათვის, რომლის თანამშრომლები ახდენენ პირუტყვის გადაყვანას სპეციალურ ადგილზე და მე-10 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომამდე განახორციელებენ მის მოვლა-პატრონობას წესის მე-7 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11. ჯარიმის, პირუტყვის სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ პირუტყვი დაუბრუნდება მესაკუთრეს. დადგენილ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დაკისრებული ჯარიმისა და პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების უზრუნველსაყოფად განხორციელდება პირუტყვის რეალიზება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს 30 დღის ვადაში აქტში მითითებული რეკვიზიტების გათვალისწინებით. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაკისრებული ჯარიმის, პირუტყვის სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება პირუტყვის რეალიზება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 13. იმ შემთხვევაში, როცა პირუტყვის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა აღემატება დაკისრებული ჯარიმის, სპეციალურ სადგომზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯებს, ზედმეტი თანხა უბრუნდება პირუტყვის მესაკუთრეს.

მუხლი 14. პირუტყვის მესაკუთრე ვალდებულია კანონით დადგენილ ვადაში მიაკითხოს ხაშურის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურს და წარუდგინოს წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრეობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და განცხადება (მოწმეების ჩვენებით) მსხვილფეხა ან წვრილფეხა ცხოველის მესაკუთრეობის შესახებ, ჯარიმის, პირუტყვის სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის შემდეგაც, სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, მესაკუთრეს დაუბრუნდება პირუტყვი.

მუხლი 15. ხაშურის და დაბა სურამის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე დაჭერილი და სპეციალურ ადგილზე გადაყვანილი წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოველდღიური შენახვისათვის საჭირო ხარჯები 1 სულ პირუტყვზე შეადგენს 10 ლარს.

მუხლი 16. ჯარიმა და მომსახურების საფასური მთლიანად ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში.

მუხლი17. იმ შემთხვევაში, თუ იზოლირებული პირუტყვი დაიღუპა მის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის ბრალეულობით, მესაკუთრისადმი მიყენებულ ზარალს მთლიანად ანაზღაურებს წინამდებარე წესის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია.

ქველმოქმედება

სიკეთე მზესავითაა – სულს ათბობს

სიქველე სულის მდგომარეობაა. მართლაც ასეა –ქველმოქმედება კათარზისის ნაირსახეობა და გზახსნილი მადლია. ჩვენს სამშობლოში, უფლის წყალობით, არასოდეს ყოფილა ქველმოქმედთა სიმცირე და გაჭირვებულთა თანადგომა მუდამ იყო ქართველი კაცის ცხოვრების წესი. საბედნიეროდ ახლაც ასეა.

იური და მერი ნოზაძეების ოჯახზე არაერთხელ დაგვიწერია. ამ მართლაც შესანიშნავ წყვილს, სამწუხაროდ, გენეტიკური შეუთავსებლობა აღმოაჩნდათ და ორი შვილი, უამრავი მკურნალობის მიუხედავად (მათ შორის რუსეთის ცნობილ კლინიკებში) დღეს ინვალიდები არიან. ოთხი ათეული წელი მათი სიცოცხლისთვის და არსებობისთვის იბრძოლეს მეუღლეებმა, მაგრამ...

ყველაზე დიდი სირთულე ამ ბოლო პერიოდში შეექმნათ ბატონ იურის და ქალბატონ მერის. პრობლემა ინვალიდების გადაადგილება გახდა (ეტლში ჩასმა, ამოყვანა და ა.შ.). თვითონაც უკვე ასაკოვნები ამ სიმძიმეს ვეღარ უმკლავდებოდნენ.

მერი ნოზაძე:- ჩვენს ოჯახს ბევრჯერ დახმარებია ბატონი ვალერი გელაშვილი, მაგრამ ეს მართლაც განსაკუთრებული იყო. „ინვალიდის ამწე“, რომელიც ძვირადღირებულია და საქართველოში არც მოიძებნა, ბატონმა ვალერიმ საჩუქრად გადმოგვცა. ეს კი ჩვენთვის და ჩვენი შვილებისათვის სიცოცხლის გახანგრძლივების ტოლფასია. საბედნიეროდ, მოგვეხსნა ტვირთი, რომლის გამკლავება მე და ჩემს მეუღლეს უკვე აღარ შეგვეძლო. დიდი მადლობა ბატონ ვალერის და მის მეუღლეს ქალბატონ დანგოლიას, რომლებმაც გულთან მიიტანეს ჩვენი ტკივილი და ტვირთი შეგვიმსუბუქეს

სიკეთე მზესავითაა – სულს ათბობს. გამთბარი სული კი ძალიან ბევრ რამეს შეაძლებინებს ადამიანს.

და ერთიც: ჯერ კიდევ ჩვენი ძველი წინაპრები ადასტურებდნენ, რომ მადლის ქმნა კაცს ყოველთვის წინ დახვდება. ალბათ ამჯერადაც ასე იქნება.

გ. გოგოლაძე

თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო

ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას ყოველდღიური კონტაქტი აქვს შინაურ ცხოველებსა თუ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვთთან და ხშირად არც კი ვიცით, რა დაავადების მატარებლები შეიძლება იყვნენ ისინი.ცოფი,ციმბირის წყლული (ჯილეხი), თურქული და ტკიპის ნაკბენი არაერთხელ გამხდარა ადამიანის დაინფიცირების და გარდაცვალების მიზეზი. თუ რა ზომებს და პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ატარებენ ამ დაავადებების პრევენციისა და თავიდან ასაცილებლად, ამაზე ქვემოთ, სურსათის ეროვნული სააგენტოს, შიდა ქართლის რეგიონალური სამსახურის სპეციალისტი შმაგი ზაზიკაშვილი ისაუბრებს. მანამდე კი მოკლედ ამ დაავადებების კლინიკურ ნიშნებსა და საფრთხეებზე, რაც ცხოველების ავადობის შემთხვევაში შეიძლება გამოვლინდეს.

ციმბირის წყლული, იგივე ჯილეხი-მწვავე ინფექციური დაავადებაა. ინფექციის ძირითადი წყაროა დაავადებული შინაური ცხოველი, მსხვილი რქოსანი პირუტყვი. ადამიანის ორგანიზმში ჯილეხის გამომწვევი შეიძლება შეიჭრას დაზიანებული კანიდან, სასუნთქი ორგანოებიდან, კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან. კანიდან გამომწვევის შეჭრა უმთავრესად დაავადებული საქონლის მოვლისა და დაკვლის, დაცემული პირუტყვის გატყავებისა და დამარხვის, ინფიცირებული ხორცის, ტყავისა და ბეწვის დამუშავების დროს ხდება. სათანადო მკურნალობის გარეშე ადამიანი შესაძლოა გარდაიცვალოს. თუ პირუტყვი აცრილია ჯილეხზე, დაავადების საფრთხე არ არსებობს.

თურქული მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომელიც ხასიათდება ცხელებით, ზოგადი ინტონქსიკაციით, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებით.

ცოფი ძალიან მძიმე ვირუსული დაავადებაა, ადამიანის დასნებოვნება შეუძლია დაავადებულ ძაღლს, კატას, მელიას, ძროხას, ცხენს, ფრინველებსაც კი.ცოფის ვირუსი დაავადებული ცხოველის ნერწყვთან ერთად გამოიყოფა და დაკბენილის ორგანიზმში ჭრილობიდან ან ლორწოვანი გარსიდან ხვდება. ნაკბენი ნებისმიერ შემთხვევაში სახიფათოა, ვინაიდან შესაძლებელია კბენის მომენტიდან ცხოველს ჯერ კიდევ არ ეტყობოდეს დაავადების გარეგნული ნიშნები. ძაღლებში ცოფის საინკუბაციო პერიოდი 14-16 დღეა. დაინფიცირების შემთხვევაში ძალიან დიდია ადამიანის გარდაცვალების რისკი.

შმაგი ზაზიკაშვილი:

-დღეისთვის ხაშურის რაიონი 12000-ზე მეტ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ითვლის. აქედან, 8000-9000 უკვე დანომრილია, პროცესი ახლაც მიმდინარეობს და მას ყოველწლიური ხასიათი აქვს, რადგან მაჩვენებელი იცვლება,ხდება შობადობა.მალე დაიწყება საქონლის პასპორტიზაცია, სადაც ჩაიწერება ის პროფილაქტიკური ღონისძიებები, რაც ჩაუტარდებათ. ეს ერთგვარი დაცვისა და კონტროლის მექანიზმია, რაც საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ ისეთი მძიმე ტიპის დაავადებები, როგორიცაა თურქული, ციმბირის წყლული, ცოფი. ამჟამად მიმდინარეობს თურქულის ვაქცინაცია, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაახლოებით 3/4-ია აცრილი. როდესაც ქვეყანაში ფიქსირდება თურქულის გავრცელების შემთხვევები, იკეტება სახელმწიფო საზღვრებიც კი. 2012 წლიდან დაწყებულია თურქულთან ბრძოლის მრავალწლიანი პროგრამა, რაც საკმაოდ ეფექტურია და სავარაუდოდ ორ წელიწადში ეს პრობლემა თითქმის მოიხსნება.

რაც შეეხება მეორე და საკმაოდ საშიშ დაავადებას, ციმბირის წყლულს, ანუ ჯილეხს, იგი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საქონელს, არამედ დიდია ადამიანთა ინფიცირების რისკი. რაც შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს. .ამის თავიდან ასაცილებლად, შემოვიტანეთ ვაქცინა და მალე დავიწყებთ აცრებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ტკიპით დაავადების ფაქტები. გასულ წელს ხაშურის რაიონში ტკიპის ნაკბენის 12 შემთხვევიდან 4 სიკვდილით დასრულდა. წელსაც დადასტურდა ერთი ფაქტი. მიღებულია ზომები, შემოვიტანეთ უფრო ეფექტური და ახალი წამალი. ჩვენი სამსახურისთვის კიდევ ერთ სერიოზულ გამოწვევას ცოფი წარმოადგენს. მიუხედავად კატებისა და ძაღლების ვაქცინაციისა, ჩვენთვის დღემდე პრობლემად რჩება ქუჩაში მცხოვრები ცხოველების აცრა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას.

თამარ ჯავახიშვილი

„გახდი ნორჩი მეტყევე"

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ვაჟა შუბითიძის ინიციატივით, ხაშურის I საჯარო სკოლაში, ჩატარდა მორიგი ლექცია სახელწოდებით „გახდი ნორჩი მეტყევე". ლექციის მიზანი ახალგაზრდა თაობაში პასუხისმგებლობის, მოქალაქეობრივი თვითშეგნების და ტყის მოვლის უნარ-ჩვევების გამომუშავება გახლდათ. ხაშურის სატყეო სამმართველოს უფროსმა კახა გაზდელიანმა ისაუბრა ტყის სასარგებლო ფუნქციებსა და მნიშვნელობაზე, საქართველოს ტყეების ბიომრავალფეროვნებაზე, მოვლა-პატრონობაზე, რესურსების რაციონალურ მართვაზე და ხაზი გაუსვა ტყის მცველის პროფესიის მნიშვნელობას. აღინიშნა, რომ საქართველოს და, მათ შორის, ჩვენი მუნიციპალიტეტის ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი დეგრადირებულია ათეული წლების მანძილზე ტყით სარგებლობის არასწორი პრაქტიკის გამო. ამდენად, დიდია მომავალი თაობის როლი ტყის გადარჩენის, დაცვის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იმ ფონზე, როდესაც ქვეყანა ახალგაზრდა კადრების დეფიციტს განიცდის, ვაჟა შუბითიძემ მოსწავლეებს მომავალი პროფესიის არჩევანი შესთავაზა, რომელსაც ისინი უახლოეს მომავალში აქვე გახსნილ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილიალში დაეუფლებიან. მით უმეტეს, სახელმწიფო სრულად აფინანსებს სატყეო ფაკულტეტზე სწავლას. მოსწავლეებმა დასვეს აქტუალური შეკითხვები და ადგილობრივი ხელისუფლებისა და სატყეო სამმართველოს წარმომადგენლებთან ერთად დაგეგმეს ტყის დასუფთავებისა და ხეების დარგვის აქციები.

-ვიცინოთ თუ ვიტიროთ-

საქართველოს კონსტიტუციის მონოლოგი

1921 წლის 21 თებერვალს დავიბადე. როგორც გადმოცემით ვიცი, იმ დროინდელ მსოფლიოში ჩემსავით ჯანმრთელი იშვიათი კონსტიტუცია იყო, მაგრამ 4 დღეში სამშობიაროში ვიღაც წითლები შემოვარდნენ, ამიტომ ჩემმა მშობლებმა გადამმალეს. კარგად მოხუცებული ვიყავი, როდესაც გამიხსენეს და დამაბრუნეს. ისე მიხაროდა, თითქოს მეორედ დავიბადე.

1993 წელს ვინმე ედუარდმა ჩემი გადაკეთება გადაწყვიტა, რომელი კესო მე მნახა, ან რომელი კუზანოვი თვითონ იყო, ეს რომ გადაწყვიტა, არ ვიცი, მაგრამ ჩანაფიქრი კი შეასრულა. ჰოდა, 1995 წელს სრულიად ახალი სახით გამიცნო ხალხმა. ცოდვა გამხელილი სჯობს, ცუდად არ ვგრძნობდი თავს, უბრალოდ, იმაზე მწყდებოდა გული, რომ მაინც იმას აკეთებდნენ, რაც უხაროდათ და მოწმედ მე მომიყვანდნენ ხოლმე. ახლა, რომ ვუფიქრდები, სწორედ მაშინ დავკარგე ქალიშვილობა, პირველად ვისთან მოხდა და როგორ არ ვიცი, მაგრამ დღე არ გავიდოდა ვინმეს არ დავერღვიე. ის "კუზანოვი" კიდევ, ზეომთ რომ ვახსენე, არ ცდილობდა ჩემს დაკერებას და ასე ვირღვეოდი და ვირღვეოდი. ჩემს ამერიკელ კოლეგას რომ ვუყურებდი, სულ გულ-მუცელი მეწვოდა შურით, ჩემზე ას წელზე მეტითაა უფროსი, მაგრამ ღირსება არცერთხელ არ დაუკარგავს. მე რატომ გამოვდექი ასეთი გლახა?!

1999 წელს პირველად მიმამატეს რაღაც, ალბათ ეგონათ, რომ მომიხდა და მას მერე ვისაც რა გაუხარდება, იმას მიმატებს და მაკლებს. ზოგჯერ ჩემი თავი ბორშჩი მგონია, რომელსაც ყველა კულინარი თავისებურად აკეთებს. ჩემს დაბადებამდე არსებობდნენ ჩემი შემსწავლელი ტიპები,თავს რომ კონსტიტუციონალისტებს უწოდებენ, მაგრამ მე ისეთი ორაზროვანი რამე გამოვდექი, რომ ყველას განსხვავებული აზრი აქვს ჩემს შესახებ. ზოგჯერ საკუთარი თავი იანუსი მგონია და თან ყველა იმ სახიდან მიყურებს, როგორც თვითონ უნდათ. თითქოს კოლგოტი ვიყო და ვისაც უნდა ისე მირგებს. უკვე იმდენჯერ გამაუპატიურეს, რომ როცა არ მაუპატიურებენ, ასე მგონია, " გავბანძდი".

2010 წელს გადაწყვიტეს, ერთხელ და სამუდამოდ შევცვალოთ ეს უბედურიო. მეგონა, ეგ არის და მეშველა - მეთქი, მაგრამ ნათქვამია - კონსტიტუცია ბჭობდა, სააკაშვილი იცინოდაო... ისეთი ამბავი დამმართეს, სარკეში ჩახედვისას საკუთარ თავს ვეღარ ვცნობდი. თვითონ კი მეუბნებოდნენ- ისეთი ხარ, ავ თვალს არ დაენახვებიო, მაგრამ ერთხელ მაინც ჩაეხედათ ამ დალოცვილებს ჩემს გულში და ნახავდნენ, რა კარგიც ვიყავი.

ხელისუფლების შეცვლა ჩემზე მეტად არავის ეშინია. ვიცი, ყველა ახალი რაღაცას ან მომაჭრის ან მიმაკერებს, რომ მომირგოს. არადა, ხელს რომ დამადებენ და იფიცებენ, გავიტრუნები, ქვეყანა ჩემი მგონია, მაგრამ დასრულდება თუ არა ინაუგურაცია შემომდებენ თაროზე და მომდევნო ხუთი წელი კაცს არ ვახსენდები.

ეჰ, ნეტავ ერთხელ მაინც თუ დამაფასებს ვინმე?! ეს ის კითხვაა რომელიც აგერ უკვე 20 წელია მაწუხებს, მაგრამ პასუხი ვერავინ გამცა. ჩემით იმდენს კი ვხვდები, რომ პასუხისაგან თავს იკავებენ, რადგან არ უნდათ გული მატკინონ. თავის მოკვლა მაინც შემეძლოს ერთხელ ჩავარდებოდი ცეცხლში და ეგ იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამაზეც იზრუნეს და ჩემი იმდენი კლონია ქვეყანაში რამდენი იურისტიცაა (ნეტავ ერთი მაინც მკითხულობდეს).

ვიცი, დაგადარდიანეთ, მაგრამ რა ვქნა? საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია აღარ არსებობს და მეც რომ მოვკვდე, არაფერი დაშავდება, მაგრამ მე თუ არ ვივარგე, ქვეყანაც არ ივარგებს და მაგას განვიცდი, თორემ მე ჭირსაც წავუღივარ.

ლადო გოგოლაძე

სამარცხვინო ექსპრეზიდენტი და პოლიტიკური ნიშნით გამოცხადებული სამძიმარი

"ფეისბუქის" ოფიციალური გვერდი თითქმის ყველა მოქმედ პოლიტიკოსს აქვს, ბუნებრივია, გამონაკლისს არც საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი წარმოადგენს, რომელიც ამ "ფეისბუქგვერდის" საშუალებით საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ხშირად ეხმიანება, მათ შორის სამძიმრის განცხადებებსაც ავრცელებს.

კარგად მახსოვს, როდესაც დიდი ქართველი მსახიობი ოთარ კობერიძე გარდაიცვალა, მისი გარდაცვალების გამო ექსპრეზიდენტმა დიდი მწუხარება გამოთქვა, რაც ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან ოთარ კობერიძის დარი მსახიობი მართლაც იშვიათია. სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილის გვერდზე არავის უნახავს დიდი ქართველი მსახიობის ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო გამოთქმული მწუხარება, მგონი, არც გურამ ფირცხალავაზე დაწყვეტია გული და ყველაზე უცნაური რაც არის, არც გენიოსი რეზო ჩხეიძის გარდაცვალება მიუტანია გულთან. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მიჩნდება ერთი კითხვა: თქვენთვის მხოლოდ ის ხალხია ქვეყნისთვის დანაკლისი, ვინც „ნაციონალურ მოძრაობას" აქებდა და ადიდებდა?! თუ ლოგიკურ ჯაჭვს გავყვებით, ეგრე გამოდის, მაშინ სად გაქრა ის მიშა, რომელიც წინასაარჩევნოდ გლეხთან მუხლებზე დაჩოქილი ტიროდა და მათ ტკივილს იზიარებდა, მიშა, რომლიც ქვეყნის ერთიანობასა და მის მომავალზე „ზრუნვას" დღესაც არ ანებებს თავს.

ბატონო ექსპრეზიდენტო, შეიძლება გამოგრჩათ და არ გაგიგიათ ამ ადამიანების გარდაცვალება, მაგრამ უცნაურია, რომ „პროფილში" თქვენი გამოსვლის პიარი არც გამოგრჩათ და არც დაგავიწყდათ, როგორც თქვენი გვერდიდან ვიგებთ, ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლაც გინახავთ, რადგან დიდი ამბით გვამცნობთ, რომ ტყუილში გამოიჭირეთ...

შეიძლება ბევრმა თქვას, ვის რაში სჭირდება მაგის სამძიმრებიო და, პრინციპში, მართალიც იქნება, მაგრამ იმაზე მტკივა გული, რომ მიშას მადიდებლებიც, სწორედ ისე აზროვნებენ, როგორც მათი ბელადი. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში ყოფნისასაც ბატონ მიშას მხოლოდ იმათზე შესტკიოდა გული, ვინც ან ხუთიანი შემოხაზა ან კიდევ ვისაც წითელი მაისური ეცვა წარწერით - მე მიყვარს საქართველო (?!).

„ნაციონალური მოძრაობის" მომხრეთა ნაწილი დიდი მონდომებით ლანძღავდა რეზო ჩხეიძეს - რუსეთი უყვარდაო. ჯერ იქნებ, იმაზე დაფიქრებულიყავით, თითოეულ თქვენგანს რა აქვს გაკეთებული ამ ქვეყნისთვის ბატონი რეზოს შემოქმედების ტოლფასი და მერე გაბედეთ და ილაპარაკეთ დიდ რეჟისორზე. თქვე კაი ხალხო, „ჯარისკაცის მამის" ან „ღიმილის ბიჭების" ყურებისას ერთი ცრემლი მაინც არასდროს ჩამოგვარდნიათ? ქართველობის გამო სიამაყე არ გიგრძვნიათ?! თუმცა, თქვენმა ბელადმა არ შეიმჩნია მისი გარადაცვალება და თქვენ თავზე ხომ არ გადაახტებოდით?

P.S. თუ ექსპრეზიდენტის სამძიმარი გამომრჩა, მაშინ ყველა სიტყვა, რაც ზემოთ დავწერე, უკან მიმაქვს.

ლადო გოგოლაძე



საქართველოს დამოუკიდებლობის დღე დიდი ზეიმით აღინიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტში. ამ დღესთან დაკავშირებით ხაშურს ესტუმრა ლატვიის ქალაქ ბაუსკას მოცეკვავეთა ანსამბლი. სტუმრებთან ერთად, ნაციონალური კოსტიუმებით, გაიმართა საზეიმო მსვლელობა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში.

სტუმრების მონაწილეობით მოხდა 26 მაისთან დაკავშირებულ სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულთა დაჯილდოება.

დღის ბოლოს, საქალაქო კულტურის სახლში გაიმართა საზეიმო გალა კონცერტი, სადაც მუნიციპალიტეტის ოფიციალურმა პირებმა დააჯილდოვეს ფესტივალის მონაწილე როგორც ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები, ასევე ხაშურთან დამეგობრებული ქ. ბაუსკას მოცეკვავეთა ანსამბლი "ჟანდალსი".

თითქმის რვაწლიანი უმოქმედობის შემდეგ ახალი სიცოცხლე დაიწყო ხაშურის ცენტრალურ სკვერში არსებულმა შადრევანმა. საოცარია, წინა ხელისუფლების დროს ერთი ჩინოვნიკი მაინც როგორ არ შეწუხებულა ამ შადრევნის უმოქმედობით. არადა, პრობლემა სულ უბრალო იყო - გამდინარე წყლის მილის გაწმენდა ან შეცვლა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების ხელშეწყობით და ა(ა)იპ „სავანე" ძალისხმევით პრობლემა უკვე მოგვარდა.

შადრევანი კი მართლა ძალიან უხდება ამ სკვერს.

პატარა მუსიკოსების დიდი წარმატება

ახლახანს თურქეთის ქალაქმა სიდემ ყოველწლიურ საბავშვო მუსიკალურ კონკურს-ფესტივალ "ჰასმანია"-ს უმასპინძლა. ფესტივალი რვა ქვეყნის მონაწილეებით იყო წარმოდგენილი: საქართველო, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, იტალია, შვეიცარია.

წელს პირველად კონკურსში ხაშურის გამგეობისა და კულტურის სამსხურის მხარდაჭერით, ხაშურის სამუსიკო სკოლამაც მიიღო მონაწილეობა. დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა. ანი ნოზაძემ (5-ე კლ. ყიფიანის სკოლა, ფორტეპიანო–პედაგოგი თამაზ აბრამიძე), ლაურიატის წოდება, ლიკა კალმახელიძე (მე-3-ე სკოლა, პედაგოგი ფატი სადაღაშვილი) პირველი საპრიზო ადგილი და ლაურიატის წოდება დაიმსახურა. ანიმ შოპენის "პოლონეზი" და "ვალსი" შეასრულა, ხოლო ლიკამ ბოკერინის " მენუეტი", ბომის "უწყვეტი მოძრაობა (პერპენტუმობილე)", კომროვსკის ეტიუდი, იან შინოვის "კონცერტინო" წარადგინა მსმენელისა და ჟიურის წინაშე. კონკურსი ასაკობრივი იყო. მათ თან პედაგოგები, ფატი სადაღაშვილი და თამაზ აბრამიძე ახლდნენ.

შემდეგი უფრო მასშტაბური ხასიათის ფესტივალი სექტემბერში, მარმარიში გაიმართება, სახელწოდებით" მამულის ვარსკვლავები", სადაც ჩვენი რაიონის წარგზავნილები ისევ საუკეთესო შედეგის საჩვენებლად მიიღებენ მონაწილეობას.

სურათზე: ლიკა კალმახელიძე თავის პედაგოგთან ერთად.

D

ღია ბარათი უზომოდ მონატრებულ თენგო არსანიძეს მეუღლისაგან

უკვე მერამდენე ღია ბარათს გწერ, ძვირფასო, შენ კი ისევ დუმხარ. დუმხარ, მაგრამ შენი ყურადღება, ზრუნვა და სიკეთე კვლავ წაუშლელ კვალად ამჩნევია ჩვენს პატარა ოჯახს.

2007 წლის 7 აპრილს, ხარება-გარდამოხსნის უიშვიათესი თანხვედრის დღეს, ინება უფალმა შენი საწუთროდან გაყვანა და უწვალებლად, ერთ წამში მიიბარა შენი ლამაზი სული. ამ წამიდან გაიყო, ძვირფასო, ჩემი ცხოვრება ორ ნაწილად, შენთან და შენს გარეშე. ჩვენ ხომ სულ 14 წელი ვიყავით ერთად. ღმერთო, როგორი ბედნიერებით იყო სავსე ეს მცირე, მაგრამ საუკუნის მომცველი წლები, როგორი სიყვარულით იყო გადაჯერებული ამ წლების თითოეული დღე, წუთი და წამი. ვაი, რომ ისინი ახლა ლამაზი მოგონებებია მხოლოდ. ცხოვრება შენს შემდეგ – სავსე შენი მონატრების გაუსაძლისი ტკივილით. რომ ამბობენ დრო ყველაფერის მკურნალიაო, არ დაიჯერო, ძვირფასო. რაც დრო გადის, დღითიდღე უფრო და უფრო მენატრები და მიმძიმს უშენობა. შენი მონატრების უკურნებელი სენი შემეყარა ალბათ და დრო ვერაფერი მკურნალი გამოვიდა ჩემთვის, მაგრამ ამ სენს არ უნდა შევუშინდე. იცი შენ, დიდი მისია მაქვს შესასრულებელი: ჩვენს შვილებზე უნდა ვიზრუნო და ამთი ბედნიერებით უნდა დავტკბე.

იცი, ძვირფასო, მინდა გითხრა, რომ კვლავაც ისევე მეამაყები, როგორც მაშინ ჩემი საიმედო დასაყრდენი რომ იყავი. ამდენი წლების შემდეგ, კვლავაც ისევე მიყვარხარ, როგორც მაშინ, ჩვენი ცხოვრება ერთმანეთს რომ დავუკავშირეთ და გჯეროდეს, ძვირფასო, რომ მეყვარები ჩემს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. შენ ხომ ჩემი ცხოვრების ერთადერთი სიყვარული ხარ.

ყოველთვის, როცა შენზე ფიქრი მეძალება, ერთი კითხვა არ მასვენებს, სად ხარ, ან როგორ ხარ? ვინ, როდის, სად და როგორ, უფალმა იცის მხოლოდ. ამიტომ მას ვავედრებ შენს სულს და მჯერა, შენ, ასეთ უკეთილშობილეს ადამიანს, უფალი არ მიგატოვებს და დაგიმკვიდრებს სანატრელ ადგილს ცათა სასუფეველში. ტკბილად განისვენე, ძვირფასო, სადაც მართალნი განისვენებენ.

გკოცნი, მენატრები, გეფერები.

შენი ინეზა

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". რედაქტორი **რობერტ სუხიაშვილი.**

მისამართი: **ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2.** ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის" ხაშურის ფილიალი,

საიდენტიფიკაციო კოდი **443860984,** ბანკის კოდი **LBRTGE22,** ანგარიში **GE10LB0115114434590000**.

D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით

გაზეთი გამოდის სამშაბათობით და იბეჭდება თბილისში.